პროექტი

ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 6 დეკემბრის N04-03/110976 მომართვის თანახმად გიაზარდა მიზნობრივი ტრანსფერი 115,0 ათ. ლარით დამატებითი ღირებულების გადასახადი 253,1 ათ. ლარით და ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის **შემოსულობები** განისაზღვრა 8 456,8 ათ. ლარი, აქედან: ა) გადასახადების მაჩვენებელი - ქონების გადასახადი განისაზღვრა 860,0 ათ. ლარი, მათ შორის: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი 845,0 ათ. ლარი, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 5,0 ათ. ლარი და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 10,0 ათ. ლარი;

ბ) დამატებითი ღირებულების გადასახადი განისაზღვრა 6 926,8 ათ. ლარი;

გ) გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 250,0 ათ. ლარი;

დ) სხვა შემოსავლები განისაზღვრა 370,0 ათ. ლარი, მათ შორის: პროცენტები 100,0 ათ. ლარი; მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 160,0 ათ. ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 10,0 ათ. ლარი; სანებართვო მოსაკრებელი 10,0 ათ. ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 10,0 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავები 50,0 ათ. ლარი; ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე 30,0 ათ. ლარი;

ე) არაფინანსური აქტივების კლება 50,0 ათ. ლარი.

2023 წლის ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის **გადასახდელების** გეგმა განისაზღვრა 8 456,8 ათ. ლარი, საიდანაც:

ა) შრომის ანაზღაურების ფონდი განისაზღვრა 2 515,7 ათ. ლარი;

ბ) საქონელი და მომსახურება 2 331,2 ათ. ლარი: მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 126,4 ათ. ლარი; მივლინებები განისაზღვრა 20,0 ათ. ლარი; ოფისის ხარჯი განისაზღვრა 198,3 ათ. ლარით მუნიციპალიტეტის სამსახურებისათვის საკანცელარიო, საწერ-სახაზავი, ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა, ნორმატიული აქტების და საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების და ყველა სახის საგამომცემლო და სასტამბო ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკის, კატრიჯების შეძენა და დატენვის, საოფისე ავეჯი, სანიტარული საგნებისა და სჭირო მასალის შესაძენად, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მომდინარე რემონტის ხარჯისათვის, კავშირგაბმულობის, საფოსტო მომსახურების, ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი და თხევადი აირის, გათბობისათვის ხარჯების ასანაზღაურებლად; წარმომადგენლობითი ხარჯი 16,0 ათ. ლარით; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 318,1 ათ. ლარი, მათ შორის: საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი 140,0 ათ. ლარი; მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციის მოვლა შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 49,5 ათ. ლარი; ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი 128,6 ათ. ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება განისაზვრება 1 652,4 ათ. ლარით, მათ შორის: ექსპერტიზისა და შემოწმების ხარჯი 5,0 ათ. ლარი; კადრების მომზადება გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 25,9 ათ. ლარი; აუდიტორული მომსახურების ხარჯი 1,0 ათ. ლარი; საარქივო მომსახურების ხარჯი 2,5 ათ. ლარი; შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი 91,5 ათ. ლარი; ბინის ქირა 21,5 ათ. ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ღონისძიებებისა და მაუწყებლობის ხარჯი 177,9 ათ. ლარი; ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით თანამონაწილეობა 21,0 ათ.ლარი; ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა 15,0 ათ. ლარი; აზომვითი ნახაზებისათვის 8,0 ათ. ლარი;

ტენდერების და აუქციონების მომსახურების ხარჯი 5,8 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდის მომსახურება 10,0 ათ. ლარი; საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მომსახურება 6,6 ათ. ლარი; საჯარო რეესტრში მომსახურებისათვის 0,2 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო 5,5 ათ. ლარი; მაწანწალა ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში 10,0 ათ. ლარი; დასუფთავების ღონისძიებაზე 650,0 ათ. ლარი და ბიო ტვალეტების მომსახურება 20,0 ათ. ლარი; გარე განათების მომსახურება 80,0 ათ. ლარი; გარე განათების ელექტროენერგიის გადასახადი 240,0 ათ. ლარი; ადგილობრივი გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთება, თოვლის წმენდა 225,0 ათ. ლარი; სანიაღვრე არხების წმენდა 30,0 ათ. ლარი.

გ) პროცენტი - შეძენილი ნაგავმზიდი მანქანებისა და კონტეინერების სესხის დასაფარი პროცენტი მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდში 27,0 ათ. ლარი.

დ) სუბსიდიები განისაზღვრა 1 762,3 ათ. ლარი, რითაც დაფინანსდება: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი 450,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი 236,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „მამისონი“ 121,5 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა 58,5 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა 56,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრი 220,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 75,8 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა 97,5 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი 52,0 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი 70,0 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება განისაზღვრა 55,0 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი 150,0 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური 100,0 ათ. ლარი და ა(ა)იპ წითელი ჯვრის საზოგადოების დაფინანსება 20,0 ათ. ლარი.

ე) ბიუჯეტში გათვალისწინებულია სოციალური დახმარებები 301,2 ათ. ლარით, მათ შორის: ავადმყოფთა სოციალური დაცვა 125,0 ათ. ლარი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება 25,2 ათ. ლარი; მრავალშვილიანი ოჯახების, ბავშვის შეძენასთან, ობოლ ბავშვების ოჯახებზე, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინის ქირით და გათბობით უზრუნველყოფა 98,8 ათ. ლარი; ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები 0,5 ათ. ლარი; 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერსა და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება 5,4 ათ. ლარი; სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულთა, დაინვალიდებულთა ოჯახების ერთჯერადი სოციალური დაცვა 2,0 ათ. ლარი; ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოც.დაცვა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსება 4,3 ათ. ლარი; სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი 40,0 ათ, ლარი.

ვ) სხვა ხარჯები განისაზღვრა 368,0 ათ. ლარით, მათ შორის: სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ხარჯი 10,0 ათ. ლარი; საკრებულოს დეპუტატების წევრების ხარჯი 72,0 ათ. ლარი; სოფ. მრავალძარში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ტერიტორიის კეთილმოწყობა 100,0 ათ. ლარი; სარეზერვო ფონდი 150,0 ათ. ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წილობრივი დაფინანსება 20,0 ათ. ლარი; წარმატებული სტუდენტებისათვის სტიპენდიის მინიჭება 8,0 ათ. ლარი და წარმატებული სპორტსმენების დახმარება 8,0 ათ. ლარი.

ზ) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 095,7 ათ. ლარით, მათ შორის: კომპიუტერების შესაძენად 25,3 ათ. ლარი; აბონენტთა აყვანის ხარჯი 8,0 ათ. ლარი; ქონების რეგისტრაცია 0,5 ათ. ლარი; საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურებაზე 200,0 ათ. ლარი; საინჟინრო, საამშენებლო, ტექნიკურ საზედამხედველო მომსახურებაზე 350,0 ათ. ლარი; დაიგეგმა წილობრივი

მონაწილეობისათვის 511,9 ათ. ლარი: სოფ. ლაგვანთა–საკაო–მაჟიეთი–ხიდეშლების მიმართულებით გზის ასფალტო–ბეტონით კაპიტალური რეაბილიტაცია და სევის გზის რეაბილიტაცია (ასფალტირება II ეტაპი) 193,4 ათ.ლარი; გომი-ჯინჭვისის გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის) 25,0 ათ.ლარი; სოფელ შეუბანში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონი) 30,0 ათ.ლარი; სოფელ ლაგვანთაში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონი) 25.0 ათ.ლარი; სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონი) 32.7 ათ.ლარი; ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების - კეთილმოწყობა VIII ეტაპი 47,5 ათ. ლარი; სოფელ უწერაში და წმენდაურში წყალანირების სისტემის მოწყობა 58,3 ათ ლარი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსებისათვის 100,0 ათ. ლარი;

თ) ვალდებულების კლება - სესხი - შეძენილი ნაგავმზიდი მანქანებისა და კონტეინერების სესხის დასაფარი ძირი თანხა მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდში 55,6 ათ. ლარი;

ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის 2022 წელს შემოსულობების მთლიანი გეგმა შეადგენს 18 779,9 ათ. ლარს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეულმა გადასახდელების 2022 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთით გეგმა შეადგენს 25 035,2 ათ. ლარს. აქედან საკუთარი შემოსავლებია 9 803,8 ათ. ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 15 231,4 ათ. ლარია, რითაც განხორციელდა–ხორციელდება: ქ. ონში ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის სამუშაოები; ქ.ონში არსებული სანიღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაცია (IV ეტაპი); სოფლების: საკაო, ლაგვანთა, მაჟიეთსა და ხიდეშლებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ასფალტო-ბეტონის საფარი II და III ეტაპი); სოფელ ზუდალი-სევის გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი); სოფელებში: პიპილეთი-ჟაშქვის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ცემენტ-რკინა-ბეტონის საფარი) II ეტაპი; სოფელ უწერაში წყალსადენი სისტემის დასრულების დამატებითი ღონისძიებები; სოფელ ღებში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია; სოფელ კვაშხიეთში სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია; სოფელ ლაგვანთაში საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა; სოფელ ლაგვანთაში მოსახლეობის დაცვის მიზნით ნაპირდამცავი ბეტონის კედლის მოწყობა; სოფელ სევის გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი I ეტაპი); სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი I ეტაპი); სოფელ კომანდლის გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი I ეტაპი); ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქ.ონში სოფლებში: ღებში, ჭიორაში, გლოლაში და კურორტ შოვში მინერალური წყლების რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა ქ. ონში ბეერშევას სახელობის სკვერში ჭიდაობის დარბაზის მშენებლობა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფელ საკაოში სახაზოს მთისკენ ტურისტული ბილიკებისა და საკემპინგე ადგილების მოწყობა და სოფელ ღარში საჯვარემდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სოფელ შეუბანში და გლოლაში საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ასევე ხორციელდება სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების სარეაბილიტაციო სამუშაოები და სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

2022 წლის შემოსულობების წლიური გეგმიდან 18 779,9 ათ. ლარიდან 10 თვის მონაცემებით შემოსულია 10 841,8 ათ. ლარი (58%); გადასახდელების წლიური გეგმა შეადგენდა 25 035,2 ათ. ლარს ფაქტიურად გაიხარჯა 13 125,5 ათ.ლარი (52%).

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი